ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 81

"18" მარტი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ წინუბანში, იალნოს ქუჩა №9-ში (საკადასტრო კოდი: №81.08.09.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სოფელ წინუბანში, იალნოს ქუჩა №9-ში (საკადასტრო კოდი: №81.08.09.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 23 თებერვლის №22.201.230 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ წინუბანში, იალნოს ქუჩა №9-ში (საკადასტრო კოდი: №81.08.09.513) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

	დანართი N1				
	ქალაქ თბილისი, სოფელი წინუბანი, იალნოს ქუჩა N9 (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513)				
N	**სახელი გვარი**	**პირადი ნომერი**	**სართული, დაკავებული ბინი ნომერი**	**ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)**	**საკადასტრო კოდი**
1	თამარ ჭინჭარაული	14001008141	სართული 1	40.52	81.08.09.513.02.501
2	მარიამი ზვიადაური	12001051664	სართული 1	43.07	81.08.09.513.02.500